სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება № 01-05.04/327

27 ნოემბერი 2018 -

ქ. თბილისი

ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანის, პროფ. რ. ქუთათელაძის მოხსენებითი ბარათის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანის, პროფ. რ. ქუთათელაძის 12.11. 2018 წლის №01-09-47/9482 მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 27 ნოემბრის № 01-05-02/25 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის სწავლების პირველი წლის სტუდენტს, გულნარ შაბანოვას (პ/ნ C 00936901), რომელიც აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეა, ზაქათალას რაიონიდან (საინგილო) და ჩაირიცხა ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე და მისი სწავლის საფასური აკადემიური საბჭოს 2015 წლის 20 მარტის №;1474 დადგენილებით განსაზღვრული იყო 3000 ლარით, შეიცვალოს და განისაზღვროს 2250 ლარით.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6)

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე